

1937 წ.

რიკუო

ფასი 50კ
№ 12
ქართული
ბიბლიოთეკა



უკანასკნელ დროს ბელგრადში მოაწყვეს ანტიფაშისტური დემონსტრაცია, რომელზედაც გაიძა-
 ხოდენ: „პირს პიტლარი! პირს სისხლიანი ფაშიზმი!“
 ფაშისტები თავის ბელადს მხსნელს, მესიას აღარებენ
 და მასებიც „პატივს სცემენ“ — ყველგან ხელით ატარებენ.
 (უცხოეთის პრესიდან).

სიჩვეულებრივი



სიმფონია



მთელი რიგი შენობები, სუსტი ხუროთმოძღვრული ნაგებობის გამო, არამკვიდრია და შეუფერებელი საცხოვრებლად.

არქიტექტორთა ყრილობის მასალებიდან.

მე ვაძლერებ მუსიკას. ბავშობისას, მახსოვს, ისე გატაცებული ვიყავი მუსიკით, რომ არღანმა კინალამ შემშალა ჭკუიდან. ჩემს თავს მივეცი სიტყვა, რომ როცა დაეკაცდებოდი, უსათუოდ არღანს ვეყიდო.

არღანი!.. არღანს რა სჯობს? დაჯექი შენთვის და ატრიალე...

ეს აღტაცება გამყვა მანამ, სანამ პირველად გარმონის ხმა არ გავიგონე.

გარმონი!.. რა მომხიბლავი მუსიკალური ინსტრუმენტი გამოუგონიათ! როცა გავიზრდები, უსათუოდ შევიძენ რანდენისე გარმონს, დავჯდები, ხან ერთს დავუკრავ, ხან მეორეს. — ასეთი იყო ჩემი გადაწყვეტილება.

მაგრამ დრო გავიდა და იარაღში მე პირველად ვნახე ყელმოღერებული გრამაფონი. „ჩემო ნათლის დედაო“... — უკრავდა. ირგვლივ აუარებული ხალხი იყო შეგროვილი. მე მაინც მოვახერხე წინ გაძვრომა და გრამაფონის მილის გაღებულ პირში კინალამ ჩაეძვერი.

მეც თითონ პირდაღებული ვიდექი და ყურებს არ ვუჯერებდი: როგორ შეიძლებოდა ამ კოლოფს კაცივით ემღერა? ეს ალბათ ფოკუსნიკობა იყო.

ყოველდღე დავდიოდი და გრამაფონთან ავიტუხებოდი. დამავიწყდა არღანიც და გარმონიც. გადავწყვიტე: დაუყოვნებლივ, ახლავე, როგორც კი წვერ-ულვაში ამომივა, გავყიდი ყველაფერს, ვიყიდი გრამაფონს. სამსახურსაც თავს დავანებებ, რათ გინდა სამსახური, თუ კი გრამაფონი გაქვს დაჯექი და დაუკარი...

გრამაფონი შესცვალა სკრიპკამ ანუ ვიოლინომ, რომელსაც ერთი მოხეტიალე მუსიკოსი უკრავდა. ვიოლინომ ისე გამიტაცა, რომ სოფელ-სოფელ დავყვებოდი ამ მუსიკოსს და მშობლები ცხენით დამეძებდნენ.

— არავითარი გრამაფონი, — ვამბობდი მე, — ვიყიდი სკრიპკას, თუმცა რატომ, გრამაფონიც იყოს...

ბოლოს დადგა მომენტი როცა მე როიალის დამატარებელი ხმები გავიგონე. სად იდისეოსი, სად სირენების ხმა, ეს იყო რალაცტური, ჯადოსნური, ალბათ თითონ მუსიკ-

ტრესტის გამგის მიერ გამოგონილი საოცნებო ინსტრუმენტი.

და რაღა თქმა უნდა, მე გადავწყვიტე როიალის ყიდვა, ოღონდ თითონ ოპერაცია დავაეკაცებამდე გადავდე.

მე აღარაფერს ვამბობ პატეფონისა და რადიოს შესახებ, რომელთა გამო კარგა ხანს შეშლილივით დავდიოდი.

— ყველას ვეყიდი, არც ერთს არ დავტოვებ... დავაწყობ სახლში, ვუკრავ და ვუკრავ — ვიძახდი დღისით და ღამით, სიზმარსა და ცხადში.



როგორ ტკბილია ახალგაზრდული ოცნებანი!

და როგორ შეუძლია ეს ოცნება დამსხვრიოს ისეთმა შესანიშნავმა ფაქტორმა, როგორც არის ახალი ბინა!

ღიახ, ახალი ბინა ახალ ბინაში ცხოვრობ, დიდ ქალაქში. ეს სახლი მხოლოდ რამდენიმე წლის წინად არის აგებული.

სამწუხაროდ როგორც ამ სახლს ეტყობა, არქიტექტორი ძალზე ჩქარობდა და პროექტი ნაუცბადევად შეადგინა. უეჭველია, ჩქარობდა მშენებელი ინჟინერიც, ჩქარობდა მასალის მომმარაგებელიც, ათისთავებიც და სამუშაოთა მწარმოებელიც: შენობა, შეიძლება ითქვას, სახელდახელოდ არის შეხანხლული. დერეფნები ისე ვიწროა, რომ თუ ერთს თავიდან კაცი გამოვიდა, ბოლოდან აღარავინ გამოჩნდება: ერთმანეთისათვის გვერდის შევლა ძნელია.

მაგრამ მთავარია კედლები და კარ-ფანჯრები. იმ დალოცვილებს, ყველას ისე აქვს

პირი დაღებული, თითქოს ასტმით იყენენ შეპყრობილი და სუნთქვა უჭირდეთ. ცხადია, ასეთ პირობებში დიდი ასპარეზი აქვს ქარს, წვიმას და სხვა სტიქიურ მოვლენებს, რომლებიც ქუჩიდან პირდაპირ, დაუკავუნებლად შემოიჭრებიან ხოლმე ბინაში.

მაგრამ ჩვენი თემა სტიქიურ მოვლენებს არ ეხება. ჩვენ ისევ მუსიკას ვუბრუნდებით.

პირველ სართულში ცხოვრობს მოქალაქე, რომელსაც მამა ჰყავს ძველი მუსიკოსი — არღნის მოტრფიალე. მის გვერდით ცხოვრობს ვინმე ბუკინისტი, რომელიც გარმონით არის გატაცებული.

მესამე სართულში ჩემს ზევით ერთი დამკრევი ცხოვრობს. იგი როიალით დააჯილდოვეს. არ ვიცი, რა მანქანებით შემოიტანა მან ბინაში ეს როიალი, ფაქტი ისაა მხოლოდ, რომ თითონაც, მისი ცოლიც და ორი პატარა ბავშვიც როიალზე დაკვრას სწავლობენ. მათ მეზობლად ცხოვრობს კონსერვატორიის მასწავლებელი ვიოლინისტი. ჩვენ თითონ პატეფონი გვაქვს, ჩვენს მეზობელს რადიო-მიმღები „ე-ჩე-ეს“. ჩვენი მეზობლის ვაჟი სასულე ორკესტრის „ბასზე“ უკრავს და დილიდან საღამომდე ვარჯიშობს.

და ეს ხალხი უკრ ვს... წარმოვიდგენიათ, უკრავს!


დაუკრან, ვის ექნება ამის საწინააღმდეგო?

მაგრამ, მოქალაქენო, კედლები თხელია, ხოლო კარ-ფანჯრები პირდაღებული.

ამიტომ სიმფონიის ნაცვლად გამოდის კაკაფონია, ფანტასმაგორია და ექვალტიური ჯაზი.

საოცნებო გრამაფონი! წარმტაცი ვიოლინო! დუდუკი, პატეფონი, გიტარა და მანდოლინი, ტკბილი ჩონგური და ბოლოს როიალი და „ე-ჩე-ეს“-ი! რა მშვენიერი ხართ ცალკე, მაგრამ ერთად თქვენი მოსმენა შეუძლებელია. მე კი, ამ ჩვენი სახლის კონსტრუქციის წყალობით, შუა სართულზე მესმის ოცდაოთხი ბინის ორმოცდარვა მუსიკალური ინსტრუმენტი...

ალლარ-ალლარსან.



— დღეს სუსტად თამაშობს ჩვენი თავდასხმა, ჰერ, უკვე პირველი ტაიმი თავდება და ჩხუბის ატეხვა ვერ მოახერხებს!..

„კულტურის ბაზა“

„ტოლდოს სამხედრო გუბერნატორმა რამოდენიმე საზოგადო
შენობა გადასცა უცხოელთათვის სამეცხო სახლების მოსაწყობ-
ბად“.. („პრავდა“).

„დიდმნიშვნელობა“ მეძავთა სახლის
ფრანკოს ბანაკმა, სჩანს დააფასა
და მის მხარეში უხვად მოჭფინა
ეს „არიული კულტურის ბაზა“.

ფრანკოს „სტუმრებსაც“ ისე იტაცებს
ეს „კულტურული“ რამ გასართობი,
რომ სურთ მეძავთა სახლის საძირკვლად
აქციონ მიწის ყველა ფართობი.

ვინ დაივიწყებს ამ „მზრუნველობას?!“
მაგრამ, მკითხველო, დარჩეს ჩვენს შორის,
და, უნებურად, მაინც მაფიქრებს
ქცევა ტოლდოს გუბერნატორის!

„მან სამეცხო სახლებისათვის
გაცა შენობა რამოდენიმე...“ —
ამბობს ქრონიკა.. და აქ მარხია
დანაშაული დიდი და მძიმე.

ინტერვენტ სტუმრებს გუბერნატორი
სჩანს, რომ საკმაო პატივის არ სცემდა,
თორემ ქალაქში რაც შენობაა
სულ სამეცხო სახლს გადასცემდა.

მედუზა.



მინაზე დააკატუნეს.
კარები გაიღო და პატარა გოგონამ სტუმარი შეიპატიჟა.

— მე მამას ნახვა მინდოდა.

— მობრძანდით, მალე მოვა, საცაა ჩვენებს ჩამოართმევენ და მოვა.

— როგორ თუ ჩვენებს ჩამოართმევენ? — ჯაკვირვებით კითხულობს სტუმარი.

— ისე... ჩამოართმევენ... ვანა არ იცით. ჩემ ჩვენს ეზოში შესვლა გასვლისას დარაჯები მდგმურებსა სჩხრევენ და ჩვენებსა ართმევენ?

— მაშ დედას დაუძახეთ, — ეუბნება სტუმარი.

— მობრძანდით, ტყვეობიდან განთავისუფლდება და დედაც მოვა.

— როგორ თუ ტყვეობიდან?

— აი, ოთახის კარებზე როიალი რომ მიადგეს, დედა შიგ მოემწყვდა, მამა მუშების დასაძახებლად წავიდა, რომ როიალი გადაადგმევინოს, მაგრამ ალყაფში გასვლისას დარაჯებმა გააჩერეს.

— არაფერი მესმის...

— წყალი აღარ მოდის, ონკანი რათ დაკეტე?

— ასე მაქვს ნაბრძანები.

— სინათლე რათ გადაგვიჭერი?

— ნაბრძანები ასე მაქვს.

— ელალმრიცხველი რათ ჩამოგლიჯე და სანაგვეში რათ გადააგდე?

— ასე მაქვს ნაბრძანები.

— ვა, მამაცხონებულო, თუთიყუში თუ ხარ, ზოობარკში წადი, კაი ფასს მოგცემენ აქ რაა სცდები? — გამოსძახის ვილაც ღიბიანი ეზოდან.

„თუთიყუში“ სამსართულიან გინებაზე გადადის, — ამას ხალხის გამოფენა მოსდევს, იწყება ჩხუბი, ფორიაქი.

— დაიწყეს, დაიწყეს, — ყვირიან მეორე ეზოში. მოთამაშე გოგო-ბიჭები, თავს ანებებენ თამაშობას და გარბიან სეირის საყურებლად.

ამ ამბების გამგონი, — ქუჩის პირზე მომუშავე ჭონი სანდრუა გადასახებს ზარვარ გეუას:

— გესმის გეურქ, დაიწყესო, ზნაჩიტ ზაკუსკის დროა. შაბაში ქენი, ცხონებულის დუქანში წავიდეთ რაღა, —

მიდიან, ეზოში კი ფორიაქი გრძელდება.

ის სტუმარი კი, რომელმაც მინაზე დააკატუნა, კვლავ მხრებს იჩეხს და ვანცვიფრებით იმეორებს:

— არაფერი არ მესმის, არაფერი არ მესმის...

ალბათ არც მკითხველს ესმის სად ხდება, რატომ ხდება ეს ფორიაქი?

თავდაპირველად არც ჩვენ გვესმოდა, ახლა კი მშვენივრად გვესმის, ისე მშვენივრად, რომ მკითხველსაც მოვახსენებთ:

სანამ ამბავს დავიწყებდეთ. საჭიროა ჯერ ის განვაცხადოთ, რომ ეს ფორიაქი სიონის ქუჩაზე № 32-ში ხდება. ეს ყოფილი აფრიკიანი-სეული ქარვასლაა. ქარვასლას ქუჩაზე დარა-

ბები აქვს, ეზოში — საცხობებელი ბინები, ზოლო ამ ბინებში 28 თვესი ცხოვრობს. ამას მიუმატეთ სტუდენტთა ორი საერთო საცხოვრებელიც.

თბილისის საბჭოში ერთხელ მსჯელობა გაიმართა: დაასკვნეს და დაადგინეს, ამ ქარვასლის ნაწილის „თბილვაჭრობისათვის“ გადაცემა. „თბილვაჭრობის“ თბილი გულის ამბავი ხომ მოგესხენებათ: ადგა და დაიწყო გაფართოება მდგმურების ხარჯზე.


რომ იტყვიან ტემპი-ტემპს მოჰყვაო, ისე დაიწყო: ერთ დილით შეხედეს მდგმურებმა და ნახეს, რომ მათი ბინების წინ საწყობებმა გაჩენილიყო.

მეორე დილით — სამკერვალო გაიხსნა. მესამე დღეს მათ აივნებზე მანქანები და მაგიდები ჩამწყრივდა.

მეოთხე დღეს — მობინადრე კეკუას ბინის კარებზე როიალი მიადგეს.

მეხუთე დღეს გორგიძეს — სამზარეულო დაუნგრის,

მეორე მდგმურს ელალმრიცხველი ჩამოუგლიჯეს,




მესამეს ელგაყვანილობა და წყლის მილი გადაუჭრეს.

ერთის სიტყვით „თბილვაჭრობის“ თბილი გული უმაღვე იგრძნეს მდგმურებმა. (რა თქმა უნდა, ის ზომებიც უნდა იგულისხმობთ, რაზედაც პატარა გოგონა ემუსაიფებოდა სტუმარს).

ახლა? ხომ გასაგებია თუ რატომ ხდება გაუთავებელი ფორიაქი სიონის ქუჩაზე № 32-ში.

— გასაგებიაო, — იტყვის მკითხველი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთლად გასაგები არ უნდა იყოს, თორემ ვანა აქამდე თბილისის საბჭო ვერ გაიგებდა?



— მაშ მობრძანდით, მოვლენ და ყველაფერს თვითონ გეტყვიან.

სტუმარი მხრებს იჩეხს.

— ბებიას მაინც სთხოვეთ.

— ბებიას აფთიაქშია, შიშის წამალი უნდა მოიტანოს...


— რის წამალი?

— შიშისა. — აი გუშინ ვათენებისას სამზარეულო რომ დაგვინგრის. გვეძინა და ბავშვებს შეეშინდათ.

სტუმარი ფიქრობს, რომ გოგონა ქუჩაზე შერყეულა, — წასასვლელად გაბრუნდება, მაგრამ აივნაზე მას უეცარი ყვირილი შეაჩერებს.

— სარეცხი, ტალახში რათ ჩამიყარე, შე პირშავო?

— ნაბრძანები ასე მაქვს.




„მოხალისეებისა“ ხალისდაკარგული


ნახ. ლებეშვილის.

სამხრეთის ფრონტზე გახშირდა გერმანულ „მოხალისეების“ რესპუბლიკის მხარეზე მასობრივად გადასვლის შემთხვევები.

ეროვნული
ბიულეტენი



1. — მომყევით! მე ვაჩვენებ სერის რესპუბლიკელებს! — წარმოსთქვა გერმანიის ფაშისტების მიერ განსაკუთრებული ბრძანებით მო-
როვილ „მოხალისეების“ გენერალმა ფონ ბითურბერგმა და რესპუბლიკელების მიერ დაკავებულ მალღობსაკენ გაეშურა



2. გალაშქრების დროს თუმცა წვიმის ნიშანწყალიც არსად ყოფილა, მაგრამ „მოხალისეების“ ლაშქარმა დნობა დაიწყო.



3. — შეუტიეთ მტერს! — დაიძახა გენერალმა, როდესაც დანიშნულ სიმაღლეს მიაღწია და „მოხალისეებს“ მოუბრუნდა. მაგრამ „მოხალისეების“ ნაცვლად, რომლებიც მნიშვნელოვან ნაწილს უკვე მოესწრო რესპუბლიკელების მხარეზე გადასვლა, ხელში შერჩა ყუმბარების ხმისაგან შიშით გულგახეთქილი ყვანჩალა, რომელიც ბითურბერგის მისამართით საცოდავი ხმით გასჩნაოდა...



რამოდენიმე წელიწადია რაც ფეშანგი ჯამსაპევილი ჩვენი წარმოების გამგეა და მისი გაცინება ჯერ არავის დაუნახავს. ერთადერთი ამბავი, რომელიც ფეშანგის ღიმილს მოკვების ხოლმე ეს იმ შემთხვევის გახსენებაა, პატივცემულ გამგეს ახალგაზრდობისას რომ დაემართა. ეს ამბავი უბრალოა და შინაარსიანი: მისი ქორწინების წინააღმდეგ სატრფოს ოჯახში მიდიოდა თურმე პატივცემული ფეშანგი; თეთრ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი ბედნიერების მომლოდინე სასიძო. და როცა ჩვენი წარმოების მოწვევით დირექტორი სატრფოს სახლს მიუახლოვდა, საიდანაც თურმე ტალახში ამოსვრილი დედალორი გაჩნდა. რაინდევით მიდიოდა ქუჩაზე. ეს დედალორი და მოკრა თუ არა თვალი ფეშანგის, თითქო მასში სულიერი მონათესავე ნახაო, მიუახლოვდა, ვნებიანათ შეჭლრუტუნა, აცუნკრუკდა, დაეტაკა ფეშანგის და კეთილშობილ დინგით სავიზიტო ტანსაცმელი დაუსვა-რა. შემდეგ მიწაზედ გაგორდა თურმე ის ღორი, ფეშანგი მალა შეიშვირა, ცინიკურად დაიწყვიტინა, წამოხტა, სამად დაიგრიხა კუდი და არც კი გაუცინია ისე გაუდგა გზას.

მხოლოდ ამ ამბის გახსენებაზე ელიმება ხოლმე ფეშანგის და გაღიების შემდეგ ჩაიფიფიფებს:

— რას იზამთ! რა არის აქ სასაცილო, ღორმა რომ აღამიანის ფასი იცოდეს, ღორიც აღარ იქნება!

სხვაფრივ არა უჭირსრა ფეშანგის, ხასიათით შაქარია პირდაპირ და თუ არაფერს სთხოვ უაროდ არასოდეს გამოგისტუმრებს. მხოლოდ ერთი მშვენიერი ჩვეულება აქვს პატივცემულ გამგეს: მოახლოვდება თუ არა საათის ოთხი, ა. ი. წარმოებაში სამუშაოს დამთავრების დრო, ყოველთვის ტელეფონზე ჰკიდია იგი და ისეთ დაწესებულებებსაც კი მოსვენებას არ აძლევს, რომელთანაც არავითარი საქმე არა აქვს. გამოიძახებს, მაგალითად „სოიუზხეჩატს“, აუტენავს ჩხუბს და ჰკიცხავს, რომ შემოსხენებულმა ორგანიზაციამ მეორე კვარტალის გეგმაში ჰარხლის მომარაგება არ შეიტანა.

2

ამასწინად ძვირფასი ავეჯი შეიძინა ფეშანგი ჩვენი დაწესებულებისათვის კოოპერატიულ მაღაზიაში. რამოდენიმე საუცხოვო მაგიდა იყიდა და მათ შორის კაკლის ერთსა-ჯდომიანი სკამი, რომელიც მთელ დაწესებულებადა ღირს თავისი სილამაზით. ამ სკამის შესახებ ამბობენ, რომ ათასხუთას მანეთამდე ღირებულა თურმე. დასაჯერიც არის, რადგან ამ პირველ მოთხოვნილების ნივთს ხედ ისეთი რამე-რუმეები გააჩნია, რომელიც არა თუ სკამს, კამოდსაც კი არ ესაჭიროება.

შეიძინა ძვირფასი ავეჯი, რამოდენიმე ათასი მანეთი გადურიცხა კოოპმაღაზიას და მაღაზიიდან ჩვენს დაწესებულებამდე ჩვენს მიკრიკს ილარიონს გადმოაზიდვინა ეს ავეჯი.

სიხარულით შეხვდნენ ამ მოვლენას ჩვენი თანამშრომლები. ბევრ საშუალო თანამდებობის პირს კი იმედი გაუტრუვდა, ფეშანგიმ თვითონ დაიდგა ეს ძვირფასი სკამი და ძველი სკამი, აქამდე რომ ყველა სკამების ყოჩად ითვლებოდა მთელს დაწესებულებაში, ადგილკომის თავმჯდომარეს გადაულოცა.

და აი მეორე დღეს ფეშანგის მიკრიკი ილარიონი მიადგა:

- ფული გამომიწერე, თუ შეიძლება.
- ჯამაგირი პირველში იქნება.
- მე ჯამაგირზე არ მოგახსენებთ.
- მაშ სხვა რა ფული გინდა?!
- ავეჯის გადმოზიდვის, თქვენ დამპირდით ოთხ თუმანს გამოგიწერთო...
- დაგპირდი? თუ დაგპირდი, გავიხსენებ და გამოგიწერ.
- დღეს მჭირდება ძალიან...
- მერე რა ვუყოთ, თუ არ გამახსენდა დღეს.

— გაიხსენეთ როგორმე, აი, სალაროსთან რომ იდექით მაშინ არ დამპირდით ორმოც მანეთს.

- ა, სხვა ვინმე დაგპირდებოდა...
- თქვენ იყავით გეფიცვებით. კარგად მახსოვს, რაღაცა ორდერს კითხულობდით და სათვალე გეკეთათ იმ დროს.

— მაშ კარგი, გავიხსენებ და მოგცემ.

— დღეს როგორმე გაიხსენეთ. დილას ცოლი მომიმშობიარდა, ვაჟი მეყოლა, ძალიან მჭირდება ფული!

— შვილი გეყოლა კაცო ამ სიბერეს დროს?!

— რას იზამთ, შემთხვევის ბრალია ყველაფერი.

— მერე შე კაცო რა გეჩქარება, გაგვზრდება ის ბიჭი და მაშინ უფრო დაგპირდება ფული... მაშ ამ ხნის კაცს შვილი გეყოლა კდე?!

— დიახ... ფულს თუ გამომიწერთ როგორმე, ძალიან კარგს იზამთ.

— მაშ შეიძლება მეც მეყოლოს, ჰა?

— დიახ, ბუნებამ მოგცუთ... ფულს თუ მომცემთ ძალიან კარგს იზამთ.

— ხვალ მოდი, ხვალ, გავიხსენებ და გამოგიწერ...

3

მეორე დღეს დილაადრიანვე გაჩნდა ილარიონი ფეშანგის სამყოფელთან. კარგა ხანს მოუწია ცდამ ფეშანგის მოსვლამდე და გაჩნდა თუ არა ფეშანგი დაწესებულებაში ილარიონი კვლავ მიადგა:

- გაიაფებულა ამხანაგო ფეშანგი.
- რა, ბიჭო?
- სკამები, თქვენ რომ იყიდეთ ისეთი სკამი.
- უჰ, რას ამბობ კაცო, რა ღირს?
- ძალიან გაიაფებულა, ექვსასი მანეთი გამხდარა...
- ექვსასი? — იკითხა ფეშანგი და სიმწარისაგან კინილამ მუხლებში ჩაიკეცა.

ეს მუხლებში ჩაიკეცა, რატომ უნდა არ იყიდებოდა არ ყოფილა გამოყენებული, არ ნაღვლობდა გადახდილ ზედმეტ მანეთებს, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ძვირფასი სკამი „ჩალის ფასად“ ღირდა უკვე; საქირო იყო მეორე სკამის ყიდვა, მაგრამ ვისთვის დავა ფეშანგის მეორე სკამი. სხვისთვის რომ დავა, მაშინ რიდათი გაეჩივით გამე ჩვეულებრივ თანამშრომლისაგან. ორივეზე ხომ თითონ არ დაჯდებოდა. ჯერ იფიქრა: შოდი რაიმე თანამდებობას შევეთავსებ, ორ მიგიდს დავიდგამ და სკამიც ორი იქნება საქირო, მაგრამ შემდეგ ისევ გადიფიქრა.

— კრებაზე მივდივარ.— თქვა ფეშანგიმ და დაღონებული, გადუწყვეტელი საკითხით ფიქრებში გართული დაწესებულებიდან გავიდა. ილარიონი კი ჩაჯდა ფეშანგის ძვირფას სკამში და გულმავიწყ გამგეს ცდა დაუწყო.

4

აქ, რასაკვირველია, არც ერთ ავეჯეულობის ფაბრიკას არ მინდა შეურაცყოფა მივაყენო, მაგრამ ფეშანგი რომ სამ საათზე დაწესებულებაში დაბრუნდა მისმა გულითაღმა შეგობარმა მოთვებუნმა ვალერიანმა ასეთი ამბავი დაახვედრა:

— არასასიამოვნო ამბავი მოხდა. ილარიონს თქვენს სკამში დასძინებოდა და არ ვიცი ვერ გაუძლო თუ რატომ. გატყდა და სულ ნაფოტებად იქცა თქვენი სკამი. ილარიონი ბურთივით დაეცა იატაკზე, მარცხენა ხელი იღრძო, ახია იმაზე...

ვერ წარმოიდგენთ ფეშანგის შეგუებას ამ ამბავთან: გაუხარდა კიდეც არასასიამოვნო შემთხვევა, ილარიონს დაუძახა და მიმართა:

- ხელი იღრძე კაცო?
- დიახ, ძალიან, მღრღნის, მაწუხებს...
- არა უშავსრა, მორჩება... ჰო, გამახსენდა, დაწერე განცხადება, გამოგიწერ.

— ილარიონმა განცხადება დაწერა, რითაც აიკვირს გადმოზიდვაში დაპირებულ ორმოც მანეთს მოითხოვდა.

ფეშანგიმ ასეთი რეზოლუცია დაადო განცხადებას:

„ბ. გამოუწერეთ თუთხმეტი მანეთი“.

მერმე მოლარე გაგზავნა ბანკში ფეშანგიმ ახალი სკამის სასყიდელ ფულის გადასარიცხავად და მხიარულ გუნებაზე მყოფს, ბუოლტერმა ვალერიანმა იმ პატიოსანი ღორის ამბავი გაახსენა ახალგაზრდობის დროს პატივი რომ სცა კოხტად გამოწყობილ სასიძო ფეშანგის.

ფეშანგიმ გაიღიმა და დანარჩენმა თანამშრომლებმა კი კისკისით აიკლეს იქაურობა.


— რას იზამთ, რა არის აქ სასაცილო, ღორმა რომ აღამიანის ფასი იცოდეს ღორიც აღარ იქნება!.. — თქვა ფეშანგიმ.

ფეშანგის ეს სიტყვები არც ათასხუთას მანეთთან დამტგრეულ სკამს ვაუგონია და არც „ხუთმეტმანეთიან“ მიკრიკს ილარიონს.

მ რ ი „ რ ა ი ნ დ ი “



საქვარობის ყოფ. დირექტორი სერ. ჯაფარიძე და სამნეო ნაწილის გამგე გუგული ყიფიანი ერთად ქეიფობენ. ლეხს ფლანგადენენ. შემდეგ კი ჯაფარიძე ჩამოსწერდა აენსს ყიფიანს იმ საბაბით, თითქოს გაფლანგული თმისა და...



—ალავერდი სერგო-ვან
—გაგიმარჯოს გუგული
გადახუხე ძირამდი
თუ არა ხარ უგული!

ჩვენს ფულებს ხომ არ ვხარჯავთ
ქკუას ვატანთ გონებას...
გაუმარჯოს გაჭაფულს
საქვარობის ქონებას!

— „სალოლ შენი მარჯვენა,
მეგობარო სერგია,
შემოგელოხ ეს გულს,
ჯანი და ენერგია.

სერგიასგან გუგულის
ნატვრა უსრულდებოდა
და სურათი პირველი
ისევე მეორედებოდა.

„ექსტრა“ იყოს... დავცალოთ
მკლავებგადაფსკენილადა!
„აი და მრავალ-ჟამიერ“!
ავღლინდეთ ტკბილადა.

გაუმარჯოს ჩვენს ძმობას
ჩავხუხოთ „ყოვლად წმინდა“!
„ჩახუხეს“ და ლოყებზე
ღვინის წვეთი დაწვიმდა...

ჩამომწერე ავანსი
შენთან რომ მიჭამია
შემდეგ ახალს ავიღებ
და კვლავ ვჭამოთ ძამია“.

მკილოგი
გააძევეს სერგია
ხედილთ გულდაბუგული
მაგრამ „საქმიანობას“
კვლავ აგრძელებს გუგული.

ცხედ-ცხელი ამბები

გამგის გადახარკება

სოფ. საბუხეს (ყვარლის რაიონი) ფოსტის გამგემ მარო ჭინჭარაშვილმა დღეს ორმოცის ნაცვლად გახსნა, წაიკითხა, გადაათვალიერა-გადასინჯა და დახია ორმოცდღერითი დახურული და ერთიც ღია წერილი.

ამანათიძე.

კიდევ ერთი ინვალისი

ეჭობის უარგისობის გამო ორივე თვალით დაბრმავდა ბაკურიანის კლუბ-სამკითხველოს კინო-აპარატი.

მოგარაკე.

ახალი კურსები

ცხამის (ქიათ. რაიონი) სასოფლო-სამეურნეო საჯარო სექციამ ამავე საბჭოში შემავალ გზებზე სიარულის დროს ცხვირ-პირის დამტკრევის თავიდან აცილუბის მიზნით გახსნა საჯარმაზო კურსები.

კურსანტი.

ხაშურის უცდომი

ხაშურის აბანოს გამგის ბარბაქაძის კულმოკრილმა ღორმა ტექნიკუმის ქუჩაზე მდებარე ქალაქის ბაღში ჩუმად დათხარა წყლის მიღები და აბანოში გადაიტანა. ამ საქმის „უცოდინარი“ ხალხი ზემოაღწერილ გმირობას თვით აბანოს გამგეს მიაწერს.

მოწმე.

„გვარისუფილი“

ხაშურის რაიკომის შოფერმა ქურდაძემ გაქურდა რაიკომის ავტომანქანა.

მნახველაძე.

„პროფსაზით“ გაიმასქმება

სადგ. ნავთლულის ადგილკომის თავჯდომარემ მინიჭებ „პროფსაზით“ გააიმასქნა 1891 მანეთი.

ლალო

იალღივი

ვინაიდან გუშინ ხარაგაულის სადგ. მოლარე გველესიანი ჩვეულებრივ ღვინის ნაცვლად არაყით დაითრო, ბაქოში მიმავალ მგზავრებს ბათომის ბილეთი მიყიდა.

ხონელი.

სწორი პასუხი

სოფლის თეატრებში სცენის მოყვარეთა მიერ ხშირად იღმება ნათარგმნი კლასიკოსების დრამები.

ხომ ხედავდი? — უთხრა ცოლმა:
— იქნებოდა მოსაწონი.

ამ სიტყვების მოსმენაზე
გაალიმა ქმარმა სახე:
და მიუგო: — მართალია:
ოტელოში ტატე ვნახე;

ტატე ვნახე ოტელოში,
არაერთხელ კვლავ მინახეს,
მაგრამ მასში ოტელო კი
არასდროს არ დამინახეს.

მედუზა

კავაკი ნიანგს

იყო შემთხვევები, როდესაც თფილისის ჯანმთელობის განყოფილება ერთ ოთახზე კოჯორში ორი ორდერი გასცა

ჩვენი ჯან განყოფილება
დაგვიჯილდოვე ორდენით:
ერთ რვა მეტრიან ოთახში
ორ-ორი გასცა ორდერი.

სჩანს იქ არ იცის მარცხენამ
თუ რას აკეთებს მარჯვენა;
ნეტავ ნიანგის ორდენით
მათი სიფათი მაჩვენა.

რიგოლეთო.

ეს გადარბენა რომ ველოსიპედებით შემეწრულეხია, მთელი სა-
ქართველო ჩემზე ილაპარაკებდა. მე კი ცოლითა და შვილით სამმა
მეგობარმა ძლივს შემიტანა ბორჯომის სააგარაკო მატარებელში და
მატარებლის დანძრვისას ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, როგორ-
შიც არასდროს არც ერთი რეკორდისტი არ ყოფილა. მარცხენა ფეხი
ცილაცას კალათში ჩავკარი. კალათში რაღაც ხილი იყო, რომელსაც
წელწელა სრესდა და წურავდა ფეხი და ფეხსაცმელი თანდათან
ივსებოდა გრილი და სურნელოვან სითხით. მარჯვენა ფეხის თი-
თები ძლივს წვდებოდნენ იატაკს, ქუსლი კი ვილაცას ფეხის წვე-
რებზე მედგა. ახლაც მიკვირს — რატომ არ ყვიროდა იმ ფეხს პატ-
რონი. ცალი ხელით სანივთე თაროზე ვიყავი ჩამოკიდული და ცა-
ლი ჩავკიდე ცოლს, რომელსაც ორნახევარი წლის ბავშვი გულზე
მიეკრა და ჩემოდანზე შემდგარიყო.

* *

მატარებელი დაიძრა. ყოველ სადგურზე მგზავრთა გროვა ყი-
ყინით თავს ესხმოდა მატარებელს. მე არ მქონდა გადახედვის სა-
შუალება, მაგრამ კიბეებზე დაკიდულთა ძახილიდან ვგრძნობდი,
როგორ იყო შემოსილი მატარებელი მგზავრებით. კიბეები, სახუ-
რაფი, გვერდები — ყველგან ეკიდა ხალხი. კასპთან ვილაც ბრმა მე-
გარმონე შემოსევს ღია ვაგონში გვერდიდან. გარმონი ძლივს გაშა-
ლა და დაამღერა:

ბო დაროვამ ეზდილ ია ყელენიმ,
ვსია ბრიგადა ბილ სომნოი ლუბენი,
პროტიკალ ონ დირკუ ნა ბილეთუ,
ი სუდობსტვომ ეზდილ ია ზა ეტუ.

ვაგონებში თევზებივით წაწყობილი ვაგონებდით სად. თბილის-
ში გამოფენილ პლაკატებს და ლოზუნგებს მგზავრთა მომსახურე-
ბის შესახებ და მწარედ გვეღიმებოდა.

ხაშურში ცოტა სული მოვითქვით, ვაგონები გაიცალა. უცბათ
ჩვენს ვაგონში კაცი შემოვიდა, მღერიე თვალებით დაგვათვალიერა
და იყვირა:

— სად არიან ბავშვები?
თბილისიდან ხაშურამდე მგზავრები ისე იყვნენ ერთმანეთზე მი-
ხუტებული, რომ ყველა ახლობელ ნაცნობებივით მუსაიფობდნენ
ხაშურში. ეს კაცი კი აშკარად უცნობი იყო.
— ვაგონი თუ შეეშალა... წყნარად ჩაუროთ ვილაცამ.
მგზავრმა გადაიხედა.
— არა, ეს არის... ბოლოდან მესამე... ჩემი ბავშვები, ჩემო-
დანი!..

გაფითრებული მგზავრი გამცილებელს ეცა. ყველას გაუკვირდა:
ჩვენ ვაგონს გამცილებელიც ჰყოლია.

— მოხსნილ ვაგონებში არ მოძებნეთ?
მგზავრი გაიქცა. სადღაც ჩიხში იპოვა ამ მატარებლიდან მოხს-
ნილი ვაგონები და შიგ თავისი ბავშვები.
— ყოველდღე იხსნება სამი ვაგონი ხაშურში. მართალია, ვაგო-
ნებს აწერია თბილისი — ბორჯომი, მაგრამ მაინც იხსნება ხაშურ-
ში... მგზავრები ვერ მიეჩვიენ... ბუზღუნებდა გამცილებელი.

* *

წალვერის მატარებელი საესე მოვიდა პარკიდან. ბორჯომში
დამხვდური მგზავრები (თბილისიდან) ჩამოეკიდნენ მატარებელს და
ვიწროლიანდაგიანი მატარებელი ქლოშინით შეუდგა აღმართს.
ძლივს გავცილდით დაბას, როცა მატარებელი დადგა. ქალარა წვე-
რებიან ობერმა რევიზიას თავი დაანება და გამცილებელს გადასძახა:

— ათანასი გიეგე ერთი რა მოუვიდა...
ათანასემ მიირბინა ორთქლმავალთან და ამბავიც მოიტანა:
— წულაიას პარი დავარდნია...

— მასე იცის მაგან სულ... მერე არ ეილია...
— ასე მალე რაფერ აილებს, მაგას ნახევარი საათი უნდა...
დაბოლოს გამოჩნდა წალვერიც. მოაგარაკებმა სიამოვნებით
მიატოვეს ვაგონები.

— ჩვენი ბარგი? — მიემართე სადგურის მწონავს.
— აი კაცი, ბატონო, — მიმითითა ერთ მგზავრზე, — მ დღეა
თბილისიდან გამოგზავნილ ბარგს უცდის და შენ დღეს გინდა
მიიღო?

ბარგი არ მოვიდა. მთელი ღამე ბავშვით ცარიელ ოთახში
ჯლებ-საბნოთ ვკანკალებდით. კოკისპირული წვიმა რეცხდა დანაგ-
ვიანებულ ეზოს. ოთახებში წვიმა თავისუფლად ჩამოდიოდა, თით-
ქოს სახლი გადაუხურავიო. ჩვენი ბარგი კი ბორჯომში იგდო, რად-
გან ბორჯომს ასეთი წესი ჰქონია: მატარებლიდან შეთანხმებულ
მატარებელზე არ გადატვირთავს ბარგს.

* *

ერთიანი გამოსასვლელი დღე იყო. მაგრამ რკინიგზელები გა-
ნუწყვეტელ კვირაზე ყოფილან და როდი სცნობენ ერთიან გამო-
სასვლელს. ბორჯომის მატარებელს არც დედათა და ბავშვთა ვა-
გონი აღმოაჩნდა და არც სამხედრო. ხაშურში დაეტოვებიათ ნ ვაგო-
ნი და ბორჯომიდან მხოლოდ 5 ვაგონი დაიძრა. ხალხი ყურძნის
მტევნებივით ეკიდა მატარებელზე. ბავშვებიანი ქალები, ავადმყო-
ფები, დამსვენებლები — ისე იყვნენ ჩაწყობილი, როგორც ტარანი
კასრში. ბრმა მეგარმონე კი ამღერებდა:

ნინჩე პლოხო პასაფირკამ
ი მუჟინამ მესტა ნეტ.
ა რევიზორ ტოლკო დირკუ
პროტიკაეტ ნა ბილეთ.

— გაეთრიე აქედან, — ყვიროდა ოფელში გაწურული რევიზო-
რი... ჩემს მატარებელზე არ გავიგონო გარმონი...

* *

რკინიგზელთა პროფკავშირში ავტორიტეტთან სხდომაზე მგზავ-
რთა მომსახურების საკითხი იჩივოდა.

კავშირის წარმომადგენელი ებიური სიმშვიდით ბრალს სდებდა
გამცილებლებს, რომ მატარებელს სადგურში ჰგვიან და არა სადგუ-
რამდე.

ადმინისტრაცია სადგურ თბილისის ადგილკომის თავმჯდომარეს
ეკითხებოდა:

— რა გააკეთეთ თქვენ მგზავრთა მომსახურებისათვის?
და იმაზე კი არაფერს ამბობდა, რომ თვითონ არაფერი გაუ-
კეთებია.

— თბილისის სადგური მთელ ბრალს ქალაქის სადგურს სდებ-
და — ზედმეტ ბილეთებს ყიდიახო.

ვერ მოვიტომინე და ასე მიემართე ამ პატაცემულ სხდომას.

— რომელ კულტურულ მომსახურებამდე ლაპარაკობთ, ამხა-
ნაგო რკინიგზელებო! ჩვენ არ ვითხოვთ ფუფუნებას. იმდენი ბი-
ლეთი გაყიდეთ, რომ ფეხზე დგომა მაინც შეიძლებოდეს მატარე-
ბელში. ნუ გაყიდით ერთ პლატკარტიან ადგილზე სამ კანონიერ
ბილეთს. ვაგზავნილი ბარგი დროზე მოიტანეთ ადგილზე და მა-
შინ არ გაივსება ვაგონები ბარგით.

სხდომაზე აირჩიეს კომისია ღონისძიებების დასამუშავებლად.
მივდიოდი ამ სხდომიდან სახლში და თვალწინ მედგა ბრმა მეგარ-
მონე მისი კუბლეტებით:

რანზე ნე ბილა ზაკონა,
ა ტებერ ტაკოი ზაკონ,
ნა ვეს პოფედ დვა ვაგონ
ა ბილეთოვ მილიონ.

გრ. ბათუმელი.



— რა გაღონებს?! რაკი გრაფიკიდან ამოვარდი, აწი სულ ერთია დანიშნულების ადგილზე როდესაც ჩახვალ!

ს უ რ ა ე მ ის ს ა ნ ა ზ რ ი უ მ უ ბ ი

მეიბთან მივედი ტანჯვით და წვალებით,
უთხარი ავად ვარ თქვენ გენაცვალებით;
იქნება რაიმე მინახოთ წამალი,
თუ საიქიოსკენ არ ვარ მიმავალი.

გამზინჯა „ტრუბკითა“ თან ზელის კაკუნით,
კითქოს შორს მესმოდა ვირთხების ფხაკუნით,
მითხრა შეგამოწმე, სულ ერთი წამია,
და ჩემი დასკვნაა, ავად ხარ ძამია!
ამიტომ თბილისი დასტოვე ამ ხანით
აგარაკს გასწიე ბარგით და ბარხანით.

... პროფკავშირს ვეწვიე, ავიღე საგზური,
(აწი ჩემ თავისთვის რაღა მაქვს საზრუნო?)
თუმც ჩუმი ციებით დავკარგე ფერია

მაგრამ სიხარულით კომინკულს „კმდერია“
... და სანატორიუმს ვეწვიე სურამში
(სიცხით გადამწვარი ვით რკინა ქურაში)
მიველ და უკეთეს რას ნახავს თვალები?
ბუნება კეკლუცობს კაცებით, ქალებით,
სანატორიუმში ვით წესი, რიგია, —
განწესი, რუკიმი და თავდარიგია.
აქ სისულთავეა ახალი მოდის
ერთი პირსახოცი ას კაცზე მოდის
საპონიც არ არის, წყალი ჩქრიაღებს,
არც ცხელი აბანო, ტანს რომ დაგიაშებს;
საცვლებს ძლივს ეღიოსა ერთ თვეში გამოცვლა
(აღბათ ამ საქმისთვის არა აქვთ აქ მოცლა).

... გუშინწინ გაგვიხდა ჩვენ კაცი ავად,
ექიმი დავვირდა კვლავ სანახავად.

შორივე ექიმი, აქ ბოჭორიშვილი
(ლენიკო სახელად ყველასთვის ცნობილი) —
მოვიდა „მწუხრის უამს“, დახედა ჩვენ ძმასა
გვითხრა რა სტკივაო უთხარით ამ კაცსა
სიცხე აქვს დიდი და... თან წელის ტკივილი
კაცი გვიკვდება — თქვა რათ უნდა ჩივილი?
ექიმმაც გამზინჯვა ვადსდო ხვალისთვის,
სოჭვა: თანაშემწესო ვავგზავნი წამლისთვის,
წავიდა... კვლავ გული დაიწვა ლოდინით;
დაბოლოს ვიღაცა გამოჩნდა ზოზინით,
ის საქმეს შეუღდა დიდ საარაკოსა
ფეხების დაწვლა დაუწყო კაცოსა
— არიქა რას შვრებით სადა გაქვთ თავია?
— ლენიკომ ასე სოჭვა მე რა ეჭა ძამია.
შეუღდა შრომას და ამა რა იცოდა,
რომ კაცო სიცხითა მთელ ღამეს იწოდა.

წყუღი.

ცხენი და თავმჯდომარის თავი

სოფ. საჯიჯაოს (ხობის რაიონი) ბერიას სახ. კოლმეურნეობის თავ-რე ორესტი თოდუმ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დაუქითხავად კოლ-მეურნეობის 2.000 მანეთად შეფასებული ცხენი ვილაც კემულარიას უფარვის ცხენზე გადაუცვალა და ოთხასი მანეთიც ზედ „დაუთავა“. ამ პატივისცემის ნიშნად კემულარიამ თოდუმს დიდი ვახშამი მოუწყო ამა წლის 30 ივნისს.

ღამე იყო — საამო და უმთვარო.

მასპინძელ კემულარიას ეზოში სტუმრებმ ირეოდნენ, ხოლო აივანზე სუფრა იშლებო-და. სუფრა, მარა რა სუფრა: „რა საჭმელი, რა სასმელი, რა იყო რომ იქ არ დგმულა“.

სოფელმა მაშინ ჩაიძინა, როცა კემულა-რიას სტუმრები მაგიდას მოუსხდნენ. რა სა-ვითხავია, ვახშამი ჩვეულებრივად ჯილა ჭი-ჭების ჯახა-ჯუხითა და „სულ დალიე, და-ლიეთი“ დაიწყო.

— ეს, ამხანაგებო, გაუმარჯოს იმ ცხენს, ანუ იმ თავმჯდომარეს, რომელთა მიზეზით ჩვენ ასე ტკბილ პურმარილს, რა ქვია იმას ვშობით და ერთმანეთი გვიყვარს... ამ მჭერ-მეტყველურ სადღეგრძელოში, რა თქმა უნდა ცხენი და თავმჯდომარე ცალკე ვაგებით იყო ნაგულისხმევი, მაგრამ ორივე მაინც ნახსე-ნები იყო, როგორც ამ ტკბილი ღვინის მი-ზეზი.

ერთი სიტყვით, „ჩხიკეთა ქორწილი“ ხომ გაგიგონიათ? — იმაზე უფრო უხვი იყო ხორ-ხოზი და „სმა-ჰამა დიდად შესარგი“.

მაგრამ „ვა, სოფელო, რაშინგან ხარ რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?“

მოხდა ღვინის შებრუნება. „ძმა-ბიჭებში“ ატყდა აყალ-მაყალი, მხიარული „მრავალუი ჟამიერ“, ბოთლების ღერებით და გლეჯა-მტვრევით შეიცვალა. თოდუმაც იჭექა და ვი-თოჯირიც ატკაცუნდა, ამას მოჰყვა, ჟივილ-ხივილი, შემდეგ, ქალების წივილ-კივილი, ხოლო შემდეგ დამტვრეული თავებიდან სის-ხლის ჩქეფა და ტკივილი. ხოლო როცა სა-ნახაობა დამთავრდა, გამოირკვა, რომ:



ჩხუბში უმთავრესად ბოთლები იყო გამო-ყენებული და ამ უქანასკნელით დანამტვრე-ვი 4 თუ 5 თავი აღმოჩნდა. სხვათაშორის და რაც მთავარია, ამ ნამტვრევ თავთა შორის ერთი თავი თავმჯდომარე თოდუმსაც იყო.

ამ მიზეზით თავმჯდომარემ მეორე და მე-სამე დღეს ვერც სიმინდი და ვერც ფული ვერ დაურიგა კოლმეურნეებს.

ჩვენ ამაში უთუოდ კოლმეურნეობის დაუ-ღვერობას ვხედავთ:

— ვითომ რა დაუჯდება კოლმეურნეობას თავმჯდომარის თავის შემოჯავშნა, რომ შემ-დეგში მაინც უვნებელი გახდეს იგი ღვინის ხელთმცყორცნი ყუმბარებისაგან? სულ დი-დი, დიდი — ამას ერთი ცხენი დასჭირდეს, მეტი ხომ არა?

როკიელი.

გის უყურადღებობას და მრავალი ჯიშის ცხოველებსა და მწერებს, რომელნიც თურმე არსებითად სასადილოს მოსახლეობას წარ-მოადგენენ და მოსადილებს მუდმივ საფრ-თხეში აყენებენ.

ავტორს ეტყობა, მარტო ვერ გადაუწყვე-ტია ამოცანა და ჩვენ გვეკითხება, რა ზომე-ბის მიღება უშველის საქმესო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოსავალი უბრა-ლოა: ჩამოეხსნას მას სასადილოს აბრა და მიეკრას წარწერა: „სადგ. შულავრის ზოო-კუთხე“.

— მის ეხლანდელ გამგეს რაღა უყოთ?
— მრავალფეროვანებისათვის, ისიც შიგ შეიძლება დასტოვოთ.

არითმეტიკა თუ პარაკურსი?

ჯუღელის ფოსტის გამგე გ. სირბილაძე, როგორც სჩანს, არითმეტიკაში ვერ ერკვევა-ეს კაცი დღეში საშუალოდ 50 — 60 ხელის-მომწერის გაზეთს ითვისებს და ბაზარში ჰყი-დის, ხოლო როცა პატრონები მიაკითხავენ, მზად აქვს პასუხი:

— დღეს გაზეთები დამაკლდა, ვერ მოგა-რთმევთო.

— მერე არითმეტიკა რა შუაშია?
— იმაში, რომ მითვისებული გაზეთები კვ არ აკლდება, არამედ ემატება.

— კი, მაგრამ სირბილაძის პასუხი არით-მეტიკულად მაინც სწორია.

— როგორ?
— მას იმ დღეს უფრო მეტის მითვისება ჰქონია განზრახული და ამასთან შედარებით დაჰკლებია...

ნიანგის დასკვნა: ნიაგი ფიქრობს, და ავ-ტორს შ. შარიქაძის საყურადღებოდ აცხადებს, რომ ამ საკითხის გამოსარკვევად უნდა მი-მართონ პროკურორს და არა არითმეტიკას.

უზგრო უბილიტარისტი

სოფ. ხიდისთავის (გორის რაიონი) სას. კოლ. მალაზიამ მიიღო შაბიამანი. სას. საბ-ქოს თავმჯდომარემ დ. ნინოშვილმა კი გან-კარგულება გასცა:

— უჩემოდ არ გაანაწილოთ, თორემ შა-ბიამანს დანიშნულებისამებრ არ გამოიყენე-ბენო.

მევენახეთა სია შეადგინეს. ნინოშვილმა ამას დამატებითი სია შეაგება: ითათბირეს, იმსჯელეს, გადასდეს, გადმოდეს. ამასობაში შეწამლვის დრო გავიდა და ვენახები დაზი-ანდა.

ვენახის პატრონებს ერთხელ კიდევ გაახ-სენა ნინოშვილმა.

— შაბიამანი აუცილებლად დანიშნულე-ბისამებრ გამოიყენეთო.

კეთილი და პატიოსანი, — შაბიამანს აღ-ბათ მართლაც დანიშნულებისამებრ გამოი-ყენებენ, მაგრამ რაში შეიძლება გამოიყენე-ბული იქნეს ისეთი თავმჯდომარე, რომელიც თავისი უთავობით თავიდან აფუჭებს საქმეს?

მუჯღუგუნები

ჩანგალი, ჰკუა და ჩაი

აცანაში მოდის ჩაი, ამის გამო იქ არის ჩაის ფაბრიკა, ფაბრიკას ჰყავს მუშები, ამი-ტომ იქ სასადილოც არსებობს. ეს ყველაფე-რი ბუნებრივია, მაგრამ ამ სასადილოში ხდე-ბა „ზებუნებრივი“ ამბავიც:

სასადილოში მუშები ჩაისაც სვამენ (პუ-რი — მეპურესაო — ამაზე ითქმის) მიუტანენ ჭიქა ჩაის და მის დასალევად მიაქვთ... ჩანგ-ლები.

— როგორ დავლიოთ ჩაი ჩანგლით? — გა-კვირვებული კითხულობენ მუშები.

— რა გაეწყობა. — კოვზის უქონლობის გამო ჩანგლით იოლას წადით, — დამშვიდე-ბით მიუგებს სასადილოს გამგე.

ასე გვწერს სოფ. აცანიდან ნიანგკორი ვ. კვ — ლი.

ნუ გაუკვირდებთ ნურც ამხ. ვ. კ-ს და ნურც აცანის ჩაის ფაბრიკის მუშებს. ცხოვ-რებაში ასეც ხდება ხოლმე: როცა ზოგ კაცს

თავი არ უჭრის, ფეხით აზროვნობს და ამით „იოლას მიდის“.

სიზმარ-ცხადი

ნიანკორ ქოხელის განცხადებით, თბილი-სიდან ჩოხატაურში მიმავალ ერთ მგზავრს უნახავს სიზმარი, ვითომ ჩოხატაურისაკენ წამსვლელ ავტოს მან მთელ დღეს უცადა საჯეევახოში.

— მერე, აუხდა სიზმარი?
— არა... ორი დღის ლოდინი დასჭირდა.

უზგალო გამოსავალი

ბიქტორ მემანიშვილი შულავერიდან ტრა-გიკურ წერილს გვწერს:

„აქ არის სასადილო, რომელსაც ვერ გა-არჩევთ მართლა სასადილოა თუ სამხეცეო“ — ამის შემდეგ ამხ. მემანიშვილი აგვიწერს სა-სადილოში გამეფებულ უსუფთაობას, გამ-

ლეგენდა საშუალო საუკუნეების დროის მოგზაობის შესახებ

(სომეხი, რომელიც ზოგჯერ მიაჩნებოდა რომელიმე დიკონს ვაი კიდევ არ უფიქრა შებანილი)

(„კრავდილიდან“)


ნან. ი. განდობ.



1. ვენეციაში ძველ დროს ცხოვრობდა მენავეთა არტელის ბუღალტერი პატივცემული ნიკოლო ტუცი. ერთ მშვენიერ გაზაფხულზე ნიკოლომ და მისმა მეუღლემ, კეთილმა და გონებასხილმა როზალინამ გადასწყვიტეს აგარაკზე წასვლა.




2. მეუღლენი საბარგო ავტო-ვირზე აკიდებულ ბარგი-ბარხანით აგარაკზე ავიდნენ. უსაზღვრო იყო მათი განცვიფრება, როდესაც აგარაკის უღმობელმა მფლობელმა მოსთხოვა 1500 ფლორინი, რაც ტუციების არტელის ყველა წევრების მთელი წლის შემოსავალს უდრიდა.




3. საბარგო ავტო-ვირით, რომელიც ჩლიქებს ზარმაცად მოაბაკუნებდა, მეუღლენი ტუციები უკანვე ბრუნდებოდნენ მშობლიურ ქალაქ ვენეციაში, რომ უცერად კლდის ნაპრალიდან ყაჩაღების მეთაური გამოვიარდა და გზა გადაუჭრა. ყაჩაღებმა ნიკოლო და როზალინა მათი ავტო-ვირით და ბარგი-ბარხანით შორეულ მთებისაკენ გაიტაცეს და თავიანთ ბანაკში მიიყვანეს.



4. ყაჩაღების ბანაკი მშვენიერ და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ადგილზე მდებარეობდა, რის გამოც იგი პატივცემულ ნიკოლოს და გონებასხილ ვილ როზალინას მეტად მოეწონათ. ყაჩაღებმა მათ განუცხადეს, რომ არ უშვებდნენ მანამდე, სანამ არ მიიღებდნენ გამოსაყიდ თანხას 400 ფლორინის რაოდენობით.



5. ცხუნვარე ზაფხულმა ჩქარა გაიარა. ნიკოლო და როზალინა საუცხოვოდ გრძობდნენ თავს ყაჩაღებთან და არ ჩქარობდნენ გამოვიდნენ. ქანაობდნენ ჭამაკებში და მსუყეთ იკვებებოდნენ. საღამოობით ისინი ყაჩაღებთან ბანქოს თამაშით ერთობოდნენ. პატივცემულმა ნიკოლომ მათ მეთაურს პრეფერანსის თამაშის დროს 30 ფლორინი მოუგო. ეს თანხა წამებებელმა გამოსაყიდ ფულის ანგარიშში ჩაუთვალა.



6. ნიკოლომ და კვიანმა როზალინამ შემოდგომის დადგომამდე ფეხიც არ მოიცივალეს ყაჩაღების ბანაკიდან... შემოდგომაზე კი პირიანათ და ნამუსიანათ მიუთვალეს ყაჩაღებს 370 ფლორინი. გაჯანსაღებულები და მომატებული წონაში შინ დაბრუნდნენ. დიდი იყო მათი სიხარული იმის გამო, რომ ასე იაფად და ასე კარგად დაისვენეს. ყაჩაღებიც თავის მხრივ კმაყოფილი დარჩნენ და აღიქმა მისცეს მადლიერ მეუღლეებს, რომ მომავალ ზაფხულსაც გაიტაცებდნენ.

სამწუხაროდ, ნიანგს არაფრით არ შეუძლია დაეხმაროს ჩვენი დროის მოაგარაკებს, რომლებსაც დაუნდობლად აძრობენ ტყავს ვენეციელ აგარაკის მფლობელთა უღმობელნი შთამომავალნი. დეე ამ სურნელოვანმა ძველმა ლეგენდამ მაინც დააფრქვიოს თვისი განმკურნებელი კაეშანი ჩვენი დროის აგარაკების მაძიებელთა გაწამებულ სულებს.

სახანძრო რაზმი
მთელი ბაღდათის
„სიამაყეა“
ნაინგო ძია,
მე ერთ მაგალითს
მოვიყვან აქვე
რომ დავამტკიცო,
თუ რა განძია.

პირველ აგვისტოს
გაჩნდა ხანძარი,
ელექტრონის ბოძს
მოედო ალი.
ატყდა ჩოჩქოლი
სახანძრო რაზმში
ბოძს მიაშველეს
შლანგებით წყალი.

თავისით ჩაჭრა
ხანძარი, მხოლოდ
წყლის შხეფი
არც კი მიკარებია,
ასეთ მეხანძრეთ
გამოდგებოდა
ქვეყნად რომ იყოს
ჩემი ბებიაც.

ზაფხულია და
ცხელა უთუოდ,
ცივ ლიმონათს გსურს
უქნა ყლაპია,
ღვას გამყიდველი,
იწმენდავს ოფლს და
მღულარეს გისხავს
ეს დოყლაპია.

თანაც სიცილით
გესაუბრება, —
რომ ცივი წყალი
აქდობს კბილებსო,
გამოგვიცდია,
პრაქტიკით ვიცით,
რომ სტომაქშიაც
სპობს ტკივილებსო.

„შინდინსკი ზომბი“

მიკროსკოპით ნახულოვან

(სოფ. წყემი, აბაშის რ.)

თოფურია ნესტორი ჰყავს
პურისმცხოვრებლად სოფლის ფურნეს,
ნამცხვარ პურში ეს ვაყვაცი
იმდენაირ „პრიპასს“ ურევს,
რომ მუშტრები ამ პურისგან
ძალზე ხშირად მარხულობენ...
და პურს პურში, მყიდველები
მიკროსკოპით ნახულობენ.


კბილმოტეხილი.

ფოსტას სჯობნის...

(სოფ. კონდოლი, თელავის რ.)

ჩვენი სოფლის სამკითხველოს
ექვსი თვეა გამგე არ ჰყავს,
იპარავენ წიგნს, გაზეთებს,
განურჩევლად, ძველს და ახალს...
სასაცილოდ არც კი ჰყოფნის
ეს ამბავი საბჭოს სოფლის
და „თევსაში“ სამკითხველო
რაიონულ ფოსტას სჯობნის.

გ. კონდოლედი.



— ისე გათავხედდენ არა არიული რასები, რომ ჰაერშიაც კი ბრძოლას გვიმართავენ...
ერთი სიტყვით ატმოსფერო მოწამლულია.

უცნაური სიმღერა

ქარელის (ხაშურის რაიონი) მთავარ „ქუჩაზე“
მივდილიდი. ჩემი ნაცნობი ივანე უცნაურად მომიღე-
როდა.

ის იყო სასოფლო საბჭოს გაუსწორდა, რომ
წყლის გუბეში ნახევრად ფეხის სტუტა და „სიმღე-
რაც“ შესწყვიტა. დაზარალებული იქვე საბჭოს
გვერდით, ტრაქტორზე ჩამოჯდა და შემომჩივლა:

— უბედურებაში ვარ პირდაპირ, ნეტავ ეს 17
მაისი სულაც არ გათენებულაო.

— რა დაგემართა მიხეილ?

— ახლა რაც დამემართა, ამას შენც ხომ უყურებ
და მე რაღათ მკითხავ.— ყველაფერის მიზეზი ის
არის, რომ კალენდარმა დამთარსა, სახელგამის კა-
ლენდარმა, მაშინ როცა მას შორივ ფურცელს ვაგ-
ლეჯდი. ავხიე ფურცელი და წავიკითხე:

„ათას ცხრაას ოცდა ჩვიდმეტი რევოლუციის
მე-20 წელი ათას ცხრაას ოცდა ჩვიდმეტი მაისი 31
დღე 17 ექვსდღიურის მე-5 დღე ორშაბათი“.

კვლავ გაპირებდი გაგრძელებას, რომ ჩემი გოგო-
ნას სიცილი მომესმა.

— მაშეო, სად იყო ათას ცხრაას ოცდა ჩვიდ-
მეტი რევოლუცია, ან ათას ცხრაას ოცდა ჩვიდმეტი
რევოლუციის მეოცი წელი?

— ეგ წაბრწერა კი ფურცლის ახევაშდეც აგრეთი
რედაქციით აწერიათ— ავლეჯა აბა აქ რა შუაშია?

— საქმე იმაშია, რომ კალენდარი ერთი ფურცლის
ახევისასც ვერ უძლებს და ამ წელიწადში ვგონებ
მეთედ გამიხდა ასაწყობ-ასაკინძი. ამის ბრალი
უნდა იყოს, რომ ჩემს კალენდარში 2 თებერვალი
სულ არ აღმოჩნდა, ხოლო 7 თებერვალი („თებერ-
ვალი 28 დღე შვიდი ექვსდღიურის პირველი დღე“) 18
მაისს შემდეგ დგება. ძლივს თეთრი ხალათი ჩვი-

ცი და კალენდარი კი თოვლსა და ქარშფოთს მიბი-
რებს.

— მაპატიეთ მიხეილ. რაღაც უცნაური სიმღერას
მოიმღეროდით მგონი კატასტროფამდის.

— ეგაც კალენდარის ბრალია, სიმღერა კი არა-
დაუშთავრებელი სიტყვის ბოლო იყო. ხომ მოგახსენ-
ეთ ჩემი გოგონას შენიშვნა— ფურცლის პირველ
გვერდის შესახებ— მეგონა უკეთესს მეორე გვერდზე
შევხედებოდი, გადმოვებრუნე.

„გერმანია“ (გაგრძელება) „ნიის ცალკე ქვეყ-
ნებში“ აი გაწყრა ღმერთი— ეს რაღა ჯანდაბაა—
„ნიის ცალკე ქვეყნებში“?

ვთქვათ „სახელგამმა“ ახალა ქვეყნები აღმოაჩინა
და მე ვერ გავიგე, როგორც სოფლად მ-მუწავებში
და ქალაქის გადამიდემ, მაგრამ რა ხდება ამ...
„ნიის ცალკე ქვეყნებში“???

ქვევით მივხვდი. რომ ნახევში გაგრძელება
გერმანიის შესახებ, მაგრამ სადღა ვიპოვო დასაწყისი?
წავიკითხავ ბოლომდის. გათავდა ფურცელი და
შემჩა დაუშთავრებელი ფრაზა:

„იგი უარს ამბობს ბურჟუაზიულ-დემოკრა-
ტიული რესპუბლიკის“ მიღ...

აი სწორედ ეს „სიმღერა“ გახლდათ. დილას უკან
ამ „დ...დ...“ გაგრძელებას დავეძებ. როგორც გან-
მარტავენ „გაგრძელება შემდეგ გვერდზე“ იქნება,
მაგრამ იგი ხომ ერთი დღეამის შემდეგ უნდა
ახიო?! აღერ ახევადა, 18 მაისის მაგიერ, 19 მაისი
დადგება და ვინ იცის, ეგებ წელიწადი ამ გაზაფ-
ხლის გასვლამდე კიდევ გათავდეს. ერთი სიტყვით,
კალენდარმა „დამთარსა“. კალენდრის ბრალია ჩემ
ლაფში ჩავარდნა!

სთქვა მიხეილმა და ტალახის ჩამოსაბანად ნახე-
ვარ კილომეტრზე მოშორებულ წყაროსაკენ გასწიო
კვერის კიხი.

„გაბიხეას ენა, ნაზიკო თარგამაძე“

(აბასთუმანი)



მე და ამხ. ნიანგმა აბასთუმნის ამბულატორიაში შევიარეთ... ის იყო კა-
ბების გაღებას ვაპირებდით, რომ იქიდან ვილაკ კაცი დაგვეჯახა, თავი ვეღარ
შევიკავეთ.

უცნობი ნიანგის შეხეებით შეშინებული, ძლივს დავამშვიდეთ.

— მაპატიეთ ამხანაგებო! — ამბობდა ის. იმავე დროს ამბულატორიის კა-
ბებში ვილაკა ქალი ილანძღებოდა, ხელში რაღაც ნაცრისფერ ქალღმერთს აფ-
რიალებდა და ნიშნის მოგებით გაიძახოდა

— ში! ექიმის მოცემული ბიულეტენიც ხომ წაგართვი! ახია შენზე! წაღ-
ებლა და ირიაკვე.

— რაშია საქმე, ამხანაგო? — ვეკითხები ავადმყოფს.

— რაშია ძმაო და ჯანდაბაში ამ ამბულატორიის თანამშრომლების თავი
და ტანი... მე კი ჩემი დამემართა და... თქვენ წარმოიდგინეთ, ხელი მაქვს
მიმით დაშავებული, კრილობა გართულებულია და მესაჭიროება ყოველდღი-
ური მკურნალობა. ექიმმა ბიულეტენი მომცა და აქ კი, თქვენც არ მომიკვდეთ,
არაფერს მომაქცია ყურადღება. აი ხო ხედავთ ეს ქალი სამედიცინო დათ მუ-
შაობს, მაგრამ და კი არა ჯოჯოხეთია ვე ოჯახამოგდებული! არა თუ მიმ-
კურნალა, ლანძღვა-გინებით და კინწის კვრით გამომაგდო და ბიულეტენიც
წამართვა...

ორ წუთში ამბულატორიაში გავჩნდით.

— უკაცრავად, ამ ამბულატორიის სამედიცინო და თქვენ ბრძანდებით?!

— დიას, მე განხლავართ, ნაზიკო თარგამაძე, რა გნებავთ?

— გეტყობათ, რომ მართლა „ნაზიკო“ ბრძანებულხართ! რად წაართვით
მუშა ხითარაშვილს ბიულეტენი და გააგდეთ აქედან?!

— უკაცრავად, ამხანაგო, ჩვენ უცნობ ხალხს ჩვენს „დამაშნი“ საკით-
ხებზე არავითარ პასუხს არ ვაძლევთ, თუ მე ბიულეტენი წავართვი და თა-
ნაც აქედან ვიფრინე, ზნაჩიტ ტაკ ნუქონ და ბოლშე მნე სვამი ნეჩეგო გა-
ჟარიტ.

სტქვა თუ არა, უცბად შემოგვაქცია ზურგი და წასვლას აპირებდა...

— ამ წუთში ჩაბარეთ ბიულეტენი და თანაც კრილობას უწამლეთ თო-
რემ... აქ უცბად აღვმართე ჩანგალი, ნიანგმა კი თავისი კული ისე მაგრად
დაპკრა მაგიდას, რომ ზედ დგმული ცარიელი ღრაფინი ორ მეტრზე ახტა.

ნაზიკო შემოტრიალდა და ნიანგის მრისხანე სახეს რომ შეხედა, ძლივს
წაილღლღლა: — უ... კაც... რავა...ა...დ... ეხ...ლა...ა...ვე — და მურღულივით
შეგარდა ოთახში.

— იპ! ასე მოგინდება!.. ხომ ამოგვყარეს შენი გულის გატეხვა...
ამათ ბიჭობას! — ერთხმად წამოიძახეს ავადმყოფებმა, რომლებიც ოცდაათამდე
ჩამწკრივებულიყვნენ ამბულატორიაში.

— ასეა, ამხ. ნიანგო, ჩვენი საქმე, — მიმართა ერთერთმა ავადმყოფმა
ნიანგს.

— ასე მოვდივართ დილას და საღამომდე ვზივართ აქ... კაკალი კაცი
ჩვენი გამკითხველი არ არის და როცა ეს ნაზიკო გუნებაზე არ არის, მაშინ
კიდევ უარესი დღე გვადგება... ერთს არ გვაჩერებს ამბულატორიაში...

— კი, მაგრამ ექიმები?..

— იმათ ჩვენთვის სად სცალიათ ამბულატორიის გამგე ვარდიშვილი, და
სამშობიარო სახლის გამგე მიქაძე ყოველდღე ჩხუბში და დავიდარაბაში არიან
და ჩვენთვის როდისლა მოიცლიან?

— ჯამრთელობის განყოფილებას ვერ შეატყობინეთ?!

— როგორ არა, ამხ. ნიანგო, ყველაფერი ვაცნობთ, მაგრამ...

— მაგ გაქუცულ წვერს და უღვაშს სულ ღერა-ღერა აგაფცქენი თუ ბიჭი
გყოფილვარ! — გაისმა მქუხარე ხმა მეორე ოთახში.

— ეგ თავი, მიქელას მოზვერივით, რო გადაგშვლდება, თუ ოთხად არ გა-
გაბო, მე არ ვიყო ილარიონი...

— ე! ბატონო, სულ ყოველდღე ასეთი ამბები აქვთ! — წაგვჩურჩულა მო-
ხუცმა ავადმყოფმა.

ნიანგმა არც აცივა, არც აცხელა და უცბად მოხსუბართა ოთახში გაჩნდა.

— თქვენ აქ საჩხუბრად ხართ, თუ ავადმყოფების მოსაველეად?! — დას-
ქეჭა ამხ. ნიანგმა. ვარდიშვილს და მიქაძეს შიშით ენა ჩაუფარდათ.

— ყვე...ლ...ა...ფ...ერს გა...ვა...კე...თ...ე...ბ...თ ამხ! ნიანგო, ო...ლ...ო...ნ...დ
ნ...უ, — ძლივს ამოილღლღლეს და უხმოდ ჩაჰკიდეს თავები.

ბოლოს მიქაძემ თავისთვის ჩაილაპარაკა.

— გაგინმა ენა ნაზიკო თარგამაძე, იმიტომ გადაგიკედე და ჰორიკანობს,
რომ უარი ვთქვი ფარულ აბორტების კეთებაზე, რითაც შემოსავალი შევით-
ხელდა.

ნიანგმა მოიწონა ამ შემთხვევაში ექიმ მიქაძის საქციელი და მხიარულ
გუნებაზე დადგა, რადგან გემრიელი საკბილო იშოვა, ნაზიკოს სახით.

ნიანგოხანი.

გოღოჭი

კაპოი ტამ ტაპოი-ს — არ დაიბეჭდება.

ლუბას (აქვე) მუშტაიდის ბაღს ახლა კულტურისა და დასვენე-
ბის ცენტრალური პარკი ეწოდება. მაინც ვათავსებთ თქვენს მასა-
ლას, რითაც პარკის ხელმძღვანელებს სამართლიანად უსაყვედუ-
რებთ ცრუკომერციულ მისწრაფებას:

შემოდგომა არ მოსულა
ცაში მიდის წერო
ცეკვის კურსებზე მივდივარ,
უნდა ჩავეწერო.

„მუშტაიდში“ შევიარე,
შემაჩერა ფასმა
ორ მანეთად ღირებულა
ორჯერ ფეხის გასმა.

პ — ს (ს. ვანი ჩოხატაურის რაიონი) კოოპერატივის გამგის
ვალ. მახარაძის შესახებ იწერებით. ვ. მახარაძე წონაში ხალხს ატყუ-
ებს. როცა ამაზე ჩივიან ის ადგილობრივ პასუხისმგებელ პირებს
იმადლიერებს: კოოპერატივში იწვევს, კახური ღვინით უმასპინძლ-
დება და თან მღერის:

რერიო, რერიო,
უდარდელად ვმღერიო,
დიდკაცებს ქეიფს ვუმართავ,
რას დამაკლებს მტერიო.

ვ. მახარაძის სახელის „უკვდასყოფად“ ამ მასალის გამოქვეყ-
ნებას საკმარისია, მაგრამ თუნდაც ერთი მაგალითიც რომ მოგე-
ყვანათ მის მიერ წონაში მოტყუების შემთხვევიდან, მაშინ თქვენს
მასალას უკეთეს ადგილზე მოვათავსებდით.

შორას (ლანჩხუთი) — დაიბეჭდება.

კაპულის (ბახმარო) თქვენი წინადადება, იმის შესახებ რომ სო-
მოქალაქო ავიაციის ა. კ. სამმართველომ იზრუნოს ბახმაროს საჰაერო
მიმოსვლის მოწყობის შესახებ, ცხადია, მოსაწონია, მაგრამ ერთი
პირობით: საჰაერო ფოსტამ უარი უნდა განაცხადოს ჩვენი რედაქ-
ციის მისამართით ისეთი ლექსების წამოღებაზე, როგორიც თქვენ
დაგიწერიათ. აი ერთი მათგანი:

ბახმაროზე არ არის გვა
არც საქონელი მოდის
საბალახოზე ცხენებს იჭერენ
და საცოდავებს აჯარაიმებენ (ვის? ცხენებს?)

სახლები ცოტაა ნაშენი...
რა ვუყოთ, სხვაფერ წინ მივდივართ,
კატუშას პლაში აქვს საშვენი
და ჩვენ უთეატროდ იოლად მივდივართ.

მართალია, „დიდი პოეტი“ ბრძანდებით, მაგრამ იკადრეთ წერი-
ლების პროზად წერა. იქნებ რამე გამოვიდეს...

ბუზგუზას (აბასთუმანი) ვებეჭდვთ თქვენს „შეკითხვას“ პა-
სუხთან ერთად:

ავარაკზე ვარ
და ვით კამეჩი (?!)
ქშინავს ბუნება ვრცელი და ცხელი
და ვეკითხები
ჩემს პოეტურ თავს (!)
რატომ მახია ნეტავი ხელი?!

ყოველ შემთხვევაში, არა იმიტომ, რომ უხეირო ლექსები წეროთ.



— დავილუბე... ამათან ხანჯლით კი არა, ზარბაზნებით ვერაფერს ვავსდები... მშვიდობით ჩემი საყვარელი ცოლი და შვილი...